„ვამტკიცებ“
თბილისის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ზურაბ მიქაძე

“19“ ---------- 2026 წ.

„ალექსანდრე ბოკუჩავას თასი - 2026“

16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

08.12-13.12. 2026 წ. ქ. თბილისის საჭადრაკო აკადემია ოლიმპიური ჩემპიონი (მისამართი ქ. თბილისი, ვეკუას 16ა.).

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
   - თბილისის ჭადრაკის ფედერაცია.
2. ღონისძიების მართვა:
   განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.
3. ჩატარების ვადები და ადგილი: 08.12-13.12. 2026 წ. ქ. თბილისი, საჭადრაკო აკადემია, ოლიმპიური ჩემპიონი (მისამართი ქ. თბილისი, ვეკუას 16ა)
4. მონაწილენი: ტურნირში დაიშვებიან 2010 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები. ყველა მონაწილეს უნდა ქონდეს გადახდილი 2026 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი (დანართი 1) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე. ხოლო, 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს კი ასევე, დამატებით შევსებული ელექტრონული ფორმა -https://forms.gle/m2GjMRs6FzbMYei3A
   სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5.სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად.
- ტურნირში ფიდეს რეიტინგი დაითვლება სწრაფ ჭადრაკში.

6. დროის კონტროლი:
   ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 25 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 10 წამის დამატებით.
7. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი: მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ https://forms.gle/v4yvNZPyaPbfJAwB9
   ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის (დაბადების) მოწმობის ასლი; 2) თბილისის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ტურნირის საწევრო შესატანის (35 ლარი) გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026 წლის 8 დეკემბრის 18:00 საათი.
   ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
   თბილისის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
   სს „ლიბერთი ბანკი“,საბანკო კოდი - LBRTGE22
   ანგარიშის ნომერი: GE85LB0115171850203000
   (შეცდომით ჩარიცხული თანხა უკან არ ბრუნდება).
   ტურნირის საწევრო შესატანი: 35 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით). სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან სატურნირო შესატანიდან. იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე 2026 წლის 8 დეკემბრის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

8. თაი- ბრეიქი: ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
   1. ურთიერთშორის შეხვედრა;
   2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
   3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
   4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
   5. მოგებების მეტი რაოდენობით.
9. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	საათი
რეგისტრაცია	8 დეკემბერი	
I ტური	9 დეკემბერი	15:00
II ტური	10 დეკემბერი	15:00
III ტური	10 დეკემბერი	16:30
IV ტური	11 დეკემბერი	15:00
V ტური	11 დეკემბერი	16:30
VI ტური	12 დეკემბერი	15:00
VII ტური და დახურვა	13 დეკემბერი	15:00

10. პრიზები: საპრიზო ფონდია - 1200 ლარი.

მონაწილეთა პრიზები

	ჭაბუკები	გოგონები
1	300	300
2	200	200
3	100	100

- ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად.

11. დაჯილდოება:
1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით;
2-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით.
12. საერთო წესები:
   - ტურის დაწყებიდან 25 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
   - ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 25 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად თბილისის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.
13. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა: სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: თბილისის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი,
საერთაშორისო ორგანიზატორი - ზურაბ მიქაძე

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი